

## პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ სოციალური საწარმოების მხარდასაჭერად



**Brot**  
für die Welt

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ როგორც სოციალური პასუხისმგებლობის კომპანია მხარს უჭერს საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების განვითარებას. ამ მიზნით კომპანია აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ორგანიზებით და სოციალურ საწარმოთა ალიანსთან პარტნიორობით, გამართულ გამოფენაში „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ღონისძიების ვერცხლის სპონსორი იყო.

3 ნოემბერს საქართველოში პირველად შედგა სოციალური საწარმოების B2B გამოფენა. ღონისძიების მხარდაჭერის მთავარი მიზანი სოციალურ საწარმოებსა და წამყვან ბიზნეს კომპანიებს შორის საქმიანი ურთიერთობების ხელშეწყობა და წარმოებული პროდუქციის გაცნობაა. გამოფენის ფორმატიდან გამომდინარე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, მათი ინტერესების შესაბამისად, შესაძლებლობა ქონდათ თითოეულ სოციალურ საწარმოსთან ეწარმოებინათ მოლაპარაკებები სამომავლო თანამშრომლობაზე.

მოწვეულ კომპანიებს ექნებათ უნიკალური შესაძლებლობა გაეცნონ მოწინავე ქართულ სოციალური საწარმოების მრავალფეროვან პროდუქციას ერთ სივრცეში. რომელთა შორისაა კორპორატიული სასაჩუქრე სუვენირები, უსაფრთხო სათამაშოები, ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები, მისალოცი ბარათები, საბავშვო ავეჯი და სათამაშო



## პრესრელიზი

მოედნები, ხელით დაწნული კალათები, თაფლი, სუნელები, ნატურალური წვენები, ღვინო და სხვა საინტერესო შეთავაზებები;

გაეცნონ მომსახურებებს, როგორებიცაა მაკულატურის გადამამუშავება, კემპინგების ორგანიზება, მუსიკალური თერაპია, ღონისძიებების მომსახურება მუსიკალური ნომრებით და სხვა.

მონაწილე სოციალური საწარმოების და მათ პროდუქციას/სერვისს შეგიძლიათ გაეცნოთ

---

კომპანია “ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

